ოთხშაბათი 15 ივლისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 მ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. [illegible] წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მო[illegible] ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებ[illegible]: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 129 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 129

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

დასავლეთ საქართველოს მევენახეთა საზოგადოება „ალექსანდრეული“ ამა ხუთ ივლისიდან თფილისში დაიწყო
# ღვინით ვაჭრობა.
რაჭა-ლეჩხუმის (ციფიანის), სვირის, ქართლის, კახეთის და სხვა ღვინოები.
თფილისი, ოლღას ქუჩა, სახლი № 8.
5—1.

შაბათს, 18 ივლისს, სენაკის საკრებულო ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი 9 ივნისს გარდაცვალებულის გელათის სადგურის უფროსის თანაშემწის

## სიმონ გიორგის ძის ბერიშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწუხრებული ჭირისუფლები: მეუღლე მიცვალებულისა ნადეჟდა ევგენის ასული, შვილები: იპოლიტე, იოსებ, დავით და გუგული ბერიშვილები; სიდედრი მაკრინე ტოგონიძისა, ცოლის და ნინო, ცოლის ძმები: სერგო და ვლადიმერ ტოგონიძეები; რძლები: მელანია და მარიამ ბერიშვილებისა; ძმისწულები: ძმუ, ოლია და ბიკტორ ბერიშვილები და სალომე ცანავასი. 1—1—576

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
## საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

## განცხადება.

ღამით, 2 ივლისს ქუთაისიდან აჯამეთს შუა დავკარგე თბილისის მატარებელზე, პორთფელი, რომელშიაც იყო: ორი ვექსილი ასას თუმნიანი, ჩემი პირადობის მოწმობა, ათი თუმნის კვიტანცია თბილისის ხაზინისა და სხვა წერილები. მპოვნელს ვთხოვ უმორჩილესად აღნიშნული პორთფელი დოკუმენტებით მოიტანოს, ან გამოგვიგზავნოს გაზ. „სამშობლოს“ რედაქციაში ქ. ქუთაისში.

10—9 სიმონ სიკოს ძე კილაძე.

**ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი**
ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს **ფრანგულ ენას.**
პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.
**მისამართი:** ივანოვის ქუჩა, ზარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი №3 ტ.

**გაბრიელ იოსების ძე**
**ექიმი გოკიელის**
**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.**
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

**ექიმი გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი რელიგიონი** დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

**მასაჟით სამკურნალო კაბინეთი**
**მარ. ბალანჩივაძისა.**
ვკურნავ მასაჟით, სახქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**კერძო ექიმი მიხეილ კაშია**
კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას დებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
საზაფხულო შენობაში.
ორშაბათიდან 13 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:
I.
## ფრინველების კვება.
II.
## საშინელების კლანჭებში.
სამ ნაწილათ, საუკეთესო მსახიობების მონაწილეობით.
III.
## ბრაზიანი მაღლი ანუ კოკოს სიყვარულის თავგადასავალი.
მხიარული სურათი.

სოლოლაკთან, რიქინაშვილის სახლში მოთავსებული სავაჭრო სახლი
## ერქომაიშვილისა და ამხ.
რომელიც ომიანობის გამო დროებით გადმოვიდა სოხუმიდან,
ამ მოკლე ხანში ისევ აპირობს გადასვლას.
ამის გამო ყოველგვარი საქონელი მყიდველ საზოგადოებას დაეთმობა
მლიერ ხელმისაწდომ ფასებში.
10—9 პატივისცემით ფ. დ. ერქომაიშვილი.

# ომის დღიური.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ზღვის პირის რაიონში შეაჩერეს ოსმალოთა წინსვლა. ბრძოლა სწარმოებს მუშის მიმართულებით და აქ ფართო ხასიათი მიუღია.

აღმოსავლეთის ასპარეზზე ცხარე ბრძოლები გრძელდება. გერმანელები განაგრძობენ წინსვლას შავლი-რიგის რაიონში. მაგრამ მათი წინსვლა რომელიც 11 ივლისს დაიწყო ტუკუმის ხაზით, რუსებმა შეაჩერეს.

დვინისა და ნემანს შუა გერმანელებმა მიაღწიეს პონევეჟ-კაიდანას ხაზამდი.

ბრძოლა სწარმოებს კოვნოს სამხრეთ დასავლეთით.

ნარევის ფრონტზე გერმანელები განაგრძობენ სასტიკ იერიშებს. როჟანის სამხრეთით გერმანელები გადმოვიდენ ნარევზე, მაგრამ ისინი აქ შეავიწროეს. ნოვოგეორგიევსკის ციხის მოწინავე ხაზზე დაიწყო ბრძოლები. ვისლის მარცხენა ნაპირზე მტერი განაგრძობს შეტევას და ბრძოლა გაჩაღდა ივანგოროდის მოწინავე პოზიციებზე. მტრის იერიშები რუსებმა მოიგერეს.

ბრძოლა სწარმოებს ვისლასა და ბუგს შუა.

გრუბეშოვის ჩრდილოეთით მტერი სცდილობდა წინ წამოწევას და დიდს ძალებს თავი მოუყარა, მაგრამ რუსის ჯარმა ყველა იერიში მოიგერა. აქ ბრძოლის პირი შეუცვლელათ დარჩა. ზოგიერთი სოფელი ხელიდან-ხელში გადადიოდა.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

**ალმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** მთავარ სარდლის შტაბისაგან ოფიც. 11 ივლისს მტერმა იერიშების მოტანა დაიწყო ტუკუმიდან შლოხის გზით, სადაც ყველა იერიში ჩვენგან მოგერებულ იქნა ზღვიდან ცეცხლის დახმარებით. 12 ივლისს დვინსა და ნემანს შუა მტერი პონევეჟ-კეიდანის ფრონტს მოუხლოვდა. კოვნოს შესავალთან სამხრეთ-დასავლეთის მხრით ბრძოლა გძელდება. ნარევის ფრონტზე მდ. პისაზე სოფელ სერვატკისთან მტერი უშედეგო იერიშებს განაგრძობს. როჟანის სამხრეთით მდ. ნარევზე გადმოსულ გერმანელებთან თავგანწირული ბრძოლა გვქონდა, სადაც მტერი იძულებული გახდა მდ. ორჟის შესართავიდან სოფელ ოლმაკამდი დაეხია. პულტუსკის სამხრეთ აღმოსავლეთით და მდ. პრუტზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ნოვოგიორგიევსკასთან მოწინავე პოზიციებზე კერძო შეტაკებები ხდებოდა. მდ. ვისლის მარცხენა ნაპირზე მტერი იერიშების მოტანას განაგრძობს. ივანგოროდთან მოწინავე პოზიციებზე მტრისგან მოტანილ იერიშებს ჩვენ წარმატებით ვგერიებთ. ვისლასა და ვეპრჯს შუა საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. ვეპრჯსა და ბუგს შუა ბრძოლა დიდი თავგანწირვით ხდება, 12 ივლისიდან მტერს თითქმის მთელ ფრონტზე იერიშები მოაქვს გარდა ვეპრჯეს მახლობელ რაიონისას გრუბეშოვის ჩრდილოეთით მტრის მრავალ-რიცხვოვან ახალ ძალას იერიშები მოაქვს. მიუხედავათ ამისა, ჩვენმა ჯარმა მტრის ყველა იერიში მოიგერა და თვით კონტრიერიშით მივიდა მტერზე. აქ რამდენიმე სოფელი ხელიდან ხელში გადადიოდა. საერთო მდგომარეობა ფრონტის უცვლელი დარჩა, ბუგზე, ზოლოტოია ლიპასა და დნესტრზე ბრძოლა არ ხდებოდა. შავ ზღვაზე 12 ივლისს ჩვენმა ნაღმოსნებმა დალუპეს მტრის 40 იალქნიანი გემი დატვირთული ქვანახშირით, გაანადგურეს აგრეთვე ახალი შახტის მოწყობილობა და ჩამოკიდებული ხიდი.

**ამერიკის ნოტა და გერმანიის პრესა.**

**სტოკჰოლმი.** 13 ივლისი. სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, ყველა გაზეთი ერთხმათ აღიარებს, რომ ამერიკის ნოტა სრულიად ვერ დააკმაყოფილებს გერმანიასაო. გამოსთქვამენ აზრს, რომ ნოტა განზრახ უხვევს საკითხვის მთავარ მუხლს და სტოვებს მას უყურადღებოთ. ფაქტია, რომ გერმანია იბრძვის თავისი არსებობის გულისთვის და ძვირფასია მისთვის შეინარჩუნოს კეთილი განწყობილება ამერიკასთან, მაგრამ ეს მაინცა და მაინც დიდი სიკეთე არ იქნება გერმანიისათვის. ყოველივე დათმობა იმის შემდეგ, რაც გერმანიამ დაუთმო ამერიკას, დამამცირებელი იქნება გერმანიის სახელისათ. წყალქვეშა ნავებით ბრძოლა კვლავაც უნდა განვაგრძოთო.

„პოსტ“-ი მოითხოვს, რომ ამერიკის ნოტის საპასუხოთ იყოს მხოლოდ მოკლე პასუხი „არა“.

„ფოსიშე ცეიტუნგი“ ამბობს: ამერიკა ცდილობს გერმანიის დასუსტებას მისი მტრების სასარგებლოთ და ეს კი ნეიტრალიტეტის დარღვევა არისო.

**რაოდენობა ტყვე ავსტრიელებისა.**

**რომი.** 12 ივლ. ომის დაწყებიდან დღევანდელ ბრძოლამდი იზონცოზე ტყვეთ წამოყვანილ ავსტრიელთა რიცხვი უდრის 12000. დღემდის კი წამოყვანილია 18000 კაცი. მათ შორის 400 აფიცერი.

**შეერთებული შტატები.**

**ვაშინგტონი.** 13 ივლ. სამხედრო სამინისტროს აზრათ აქვს სათადარიგო ჯარის რიცხვი აიყვანოს ნახევარ მილიონამდე, ამ რიცხვში არ შედის მილიცია. საზღვაო სამინისტრო შუამდგომლობს 30 წყალქვეშა ნავის, 4 დრედნოტის, რამდენიმე ჯავშნოსანის და რამდენიმე დამხმარე გემის აშენებას.

**გემების ჩაძირვა.**

**აბერდინი.** 13 ივლ. გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩრდილო-ზღვაში ჩასძირა გემი „ფერტი“. კამანდის 6

კაცი ნაპირზე გადმოვიდენ, ოთხი კაცი დაიღუპა. აშკიპერი დაიღუპა, ხუთი კაცი უგზო-უკვლოდ დაიღუპა.

**ლონდონი.** 13 ივლ. გავრცელებული ინგლისის გემი „ჯრენჩვუდი“ გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ჩრდილო-ზღვაში. კომანდა გადარჩა.

### კავკასიის ახბარები.

**პეტროგრადი.** 13 ივლ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირის რაიონში ოსმალოთა შეტევა მოგერებულია. მუშის ფრონტზე ბრძოლა წარმოებს ფართო ფრონტზე. დანარჩენ ადგილებში ბრძოლები არ ყოფილა.

### დარდანელი

**სოლუნი.** 11 ივლ. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ შაბათს ინგლისის წყალქვეშა ნავმა გაიარა დარდანელი და მიუახლოვდა თოფხანას, სადაც ჩასძირა ორი სამხედრო სურსათით დატვირთული ტრანსპორტი. კვირას ინგლისის მეორე წყალქვეშა ნავი შეიჭრა ბოსფორში. ევროპის მხრით გამაგრებულ პოზიციებიდან მას დაუშინეს, მაგრამ წყალ-ქვეშა ნავი დაიმალა და გაიპარა. ინგლისის მესამე წყალქვეშა ნავი გაჩნდა მარმარილოს ზღვაში, სადაც ჩასძირა ოსმალოთა სამხედრო სურსათით დატვირთული გემი.

### „ბრესლაუ“-ს დაზიანება.

სხვადასხვა წყაროებიდან იუწყებიან, რომ ამ დღეებში ოსმალეთ გერმანიის ჯავშნოსანი „ბრესლაუ“ ბოსფორიდან გამოსვლის დროს ნაღმს დაეჯახა. ჯავშნოსანზე მრავალი მოკლული და დაჭრილებია.

### ბულგარეთი და ოსმალეთი.

**ლონდონი.** 13 ივლ. „ტაიმს“-ის სოფიელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 9 ივლისს სტამბოლში ხელი მოაწერეს კონვენციას, რომლის ძალითაც ბულგარეთს ეთმობა დედეაგაჩის რკინის გზის ნაწილი. მარიცის დასავლეთის მთელი ტერიტორია ბულგარეთის ხელში გადადის. კონვენცია არც ერთ ხელის მომწერ მხარეს რაიმე პოლიტიკურ ვალდებულებას თავს არ ახვევს.

### შვეცია.

**სტოკჰოლმი.** 13 ივლ. გუშინ სტოკჰოლმში, გოტებორგში და სხვა ქალაქებში მოხდა მრავალ რიცხოვანი კრებები აქტივისტების საწინააღმდეგოთ. ორატორების აზრით აქტივისტები ცდილობენ გავლენა იქონიონ მეფესთან ახლო მდგომ წრეებზე, რათა მოიწვიონ უფრო აქტიური სამინისტრო, მიუხედავათ იმისა, რომ შვედებს მშვიდობიანობის დაცვა სურთ. ორატორები მოუწოდებენ პოლიტიკურ და სხვა ორგანიზაციებს შეერთდენ აქტივისტების საწინააღმდეგოთ.

## ჟურნალ გაზეთებიდან.

### სათათბიროში შესატანი კანონ-პროექტი.

„მ“ თავრიდის სასახლეში ხმა გავრცელდა, რომ მთავრობის წრეებში უკვე გადაწყვეტილია სახელმწიფო სათათბიროს სესიის ხანგრძლივობა.

სესია მოკლე ხნიანი არ იქნება. დიდი თუ მცირე ხნით სესიის არსებობა დამოკიდებული იქნება სათათბიროს მუშაობის ხასიათსა და მიმდინარეობაზე.

მთავრობის წრეებიდან იუწყებიან, რომ სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი იქნება ახალი კანონ-პროექტი, შესახებ სამხედრო სურსათისა, ახალი ჯარის კაცთა გაწვევისა 1916 წ. და სახელმწიფო ბანკის ემისიურ უფლების ერთი მილიარდი მანეთით გადიდებისა,

„რ. ვ.“

### როსტოვი.

აღმოაჩინეს ორგანიზაცია ნოტარიალურ კანტორის და სხვა პირთა, რომელიც ყიდდენ მარკებს. მრავალი გაჩხრიკეს და დაატუსაღეს.

„რეჩ.“

### სტოკჰოლმი.

„ფრანკფ. ცეიტუნგ“-ი ბერლინიდან იუწყება, რომ ოსმალეთის დღევანდელი ელჩის მაგიერათ ბერლინში ინიშნება—დიდი ვეზირი ხაკიფაშა.

### ლონდონი.

ლოიდ-ჯორჯი-გენდერსონთან და რენსიმანთან ერთად კარდიფს გაემგზავრა მემადაროების წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლათ.

„დენ.“

### სახალხო ლოცვა.

8 ივლისს პეტროგრადში გარდახდილ იყო საერთო სახალხო ლოცვა. არც ერთს მთავრობის დაწესებულებაში მუშაობა არ სწარმოებდა. 7 ივლისს უწმინდაესმა სინოდმა ყველა ეკლესიას გაუგზავნა მოწოდება, რომ გადაიხადონ ლოცვა რუსეთის ჯარის გამარჯვების მოსაპოვებლათ.

### ლონდონი.

ინგლისის დიდი გემი „ორდიუნა“, რომელიც მგზავრებით დატვირთული მიემგზავრებოდა ამერიკაში გერმანელების წყალქვეშა ნავმა ააფეთქა.

### კოპენჰაგენი.

ვაშინგტონიდან „მორნინგ პოსტ“-ს ატყობინებენ: გერმანელები დიდი ენერგიით მუშაობენ, რომ გამოიწვიონ ამერიკაში განსაკუთრებული ყრილობა კონგრესისა.

თუ ეს მოხდა, მაშინ პრეზიდენტი ვილსონი ხელშეკრული იქნება, რადგან კონგრესს შეუძლია მიიღოს კანონი, რომლის ძალითაც ნება ექნება ამერიკას გაიტანოს სამხედრო სურსათი.

### კოპენჰაგენი.

ვენიდან ოფიციალურათ იუწყებიან, რომ ყველა სპილენძი რაც ეკლესიებს ხმარდება, გამოცხადებულია მთავრობის საკუთრებათ, რადგან ავსტრიელები საჭ როებენ ახალ იარაღს.

ავსტრიის სამღვდელოებამ ნება დართო მცხოვრებთ უქმე დღე მუშაობაზე, რომ საჩქაროთ შეაგროვონ მოსავალი.

### კოპენჰაგენი.

ბერლინიდან იუწყებიან ოფიციალურათ, რომ ყველა ბელგიელი, რომელიც მტრის ჯარში შევა ან იმუშავებს, სამრეწველოში 5 წლით დაპატიმრებული იქნება ციხეში ან გადახდება 10 ათასი პენი.

### კოლონისტების გადასახლება.

### კიევი.

კიევის გუბერნიიდანაც გადასახლებული იქნება გერმანელი კოლონისტები. გარდა იმ ოჯახებისა, რომლის წევრებიც იბრძვიან რუსის ჯარში.

### ა. დ. სამარინის ახალ თანამდებობაზე შესვლა.

ა. დ. სამარინი 10 ივლისს წმ. სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

„ნ. ვ.“

### სამხედრო ცნობა.

რიგა—შაველის მიდამოში გრუნგოფ—ქაგორი კრუპის ფრონტზე მტრის იერიში გრძელდება. ნემანის მიდამოში სუვალკიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მტერმა რამოდენიმე როტის თხრილები დაიჭირა.

მდ. ნარევის ფრონტზე არტილერიის ბრძოლაა. ვისლასა და ბუგის შუა მტერი ფრთხილათ უახლოვდება ჩვენგან დაჭერილ ფრონტს. სოკალის მიდამოში მტერი რამოდენიმეთ შემოჭრამდე ბუგის მარჯვენა ნაპირზე, დნესტრზე სასტიკ ბრძოლაში წინანდელ ფრონტზე ჩვენ დავატყვევეთ 500 ჯარის კაცი და ხელთ ვიგდეთ 5 ტყვიის მრქვეველი. დასავლეთ ფრონტზე სუშეს მიდამოებში სასტიკი ბრძოლაა.

ბულგარეთის სააგენტო უარსაყოფს მეფე ფერდინანდის ათინას გამგზავრებას და აგრეთვე გენადიევის დაჭერას და თავის მოკვლას.

საბერძნეთის პარლამენტი 21 ივლის შეიკრიბება.

## ბერლინი და ომი.

გაზეთ „რეჩის“ 185-№-ში მოთავსებულია საყურადღებო წერილი ვინმე ს. ა—სკაისი. წერილის ავტორი სწერს: „ბერლინში დავრჩი ომის დაწყებიდან უკანასკნელ დრომდე და ვცხოვრობდი ბულგარეთის ელჩის ოჯახში. როგორც პრივილეგიური უცხოელი საშუალება მქონდა თვალი მედევნებინა ყველა იმ ღირ შესანიშნავ ცვლილებისადმი, რომელიც 10 თვის ხდებოდა განმავლობაში გერმანიის სატახტო ქალაქში.

ვეცდები, რამდენათ შესაძლებელია, გადმოვცე მკითხველს ჩემი შთაბეჭდილება და დაკვირვებანი უბრალოთ და სიმართლით.

ბერლინში ჩამოველი სამი კვირის წინათ ომის დაწყებამდე. ფრიდრიხშტრასე სავსე იყო რუსებით რადგან სეზონი იწყებოდა. ომიანობის ხმებმა ჩვენ მოულოდნელ გაკვირვებაში ჩაგვაგდო. ხმები თან და თან ძლიერდებოდა, ტელეგრამები დიდის სისწრაფით საღდებოდა. სვეტებზე სხვა და სხვა პროკლამაცია და განცხადებები იკვრებოდა. მაგრამ მაინც არავის არ ჯეროდა თუ ყველა ეს ასე სასწრაფოთ გადაწყდებოდა. შიში უკვე განხორციელდა. დაიწყო უცნაური შეურაცყოფა და ფაქტიური რბევა ხულიგანებისაგან და უკხოელი ბიჭებისაგან.

ბრბოს ეკსცესები ღებულობდა მახინჯსა და მხეცურ ხასიათს. მაგალითად ბრბო გარს შემოეკრა ერთს სანატორიას, სადაც უცხოელი ავათმყოფები იწვენ და მომეტებული წილი კი რუსები. მოითხოვეს საჩქაროდ დაცლა მისი. წინააღმდეგ შემთხვევაში შენობას დანგრევას უქადდენ. რუსები გაიყვანეს სხვა და სხვა საშუალებით. უცხო ენაზე ლაპარაკი ოფიციალურათ, თუმცა აკრძალული არ იყო, მაგრამ თვითონ ხალხი დევნიდა მოწინააღმდეგეთა ენას და რამოდენჯერმე მივიღეთ შენიშვნა კონკაში ფრანგული ლაპარაკისათვის.

გერმანული პატრიოტიზმი არა მარტო ამაში იხატებოდა, არამედ გასაკვირ ერთობაში ჯარისა და საზოგადოების შორის.

ყოველთვის გრძნობდით მჭიდრო კავშირს ბერლინსა და ბრძოლის ველის შორის.

განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრო ბერლინის საზოგადოება ჯარისათვის თბილი ნაქსოვების შეწირვის მოწოდებას.

ქსოვდენ სახლში, კონკაში ომნიბუსებში, მეტროპოლიტენში ქსოვდენ ყველა დიდი მაღაზიის ნოქრები, ბავშვები სკოლებში, საბავშო ბაღებში და სხვა. ბავშებს მოქონდათ სახლიდან, რაც შეხვდებოდათ, განსაკუთრებით სიგარები, პაპიროსები და სანოვაგე.

ბევრი გააკეთა საზოგადოებამ დაჭრილთათვის. ყველა კერძო და უნივერსიტეტის კლინიკები, საუკეთესო სანატორიები მინიჭებული აქვთ დაჭრილებს; ამას გარდა გახსნილია მრავალი მშვენიერი საავათმყოფო მათთვის. რამდენათ შესანიშნავათ მოწყობილია დაჭრილთა დახმარება—ეს უკვე ნაჩვენები იყო რეიხსტაგში წითელი ჯვრის გამოფენაზე. აქ არის ყველა ახალი აღმოჩენა დაჭრილთა მდგომარეობის შესამსუბუქებლათ.

ხელოვნური ხელი და ფეხი იმდენათ გაუმჯობესებულია, რომ ორივე ხელ მოჭრილს მათი საშუალებით შეუძლია თავისუფლათ შეასრულოს ყოველგვარი მუშაობა: როგორც ხერხვა, კვერთისა და ნაჯახის, შალაშინის და სხვა ყოველგვარი სამუშაო იარაღის ხმარება.

ის, ვინც ყოფილა გამოფენაზე დარწმუნდება, რომ საუკეთესო ძალებს მედიცინისას და სანიტარულ ტეხნიკასას მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ დაჭრილთა საშველათ ქუჩებში მომეტებულ წილათ მგლოვიარეს ხედავთ, იშვიათია ოჯახი, რომელ ც არ დასტიროდეს დანაკარგს. ყველგან ქალები მსახურობენ. მოძრაობამ ქუჩებში იკლო. 60 ათასი ავტომობილებიდან ბერლინში მხოლოდ 15 ათასი დარჩა.

ომის გამოცხადების შემდეგ აღნიშნული იყო პურის რაოდენობა, მცხოვრებთა რიცხვის გადაწერა და პურის ხარჯის ნორმის დაწესება. ეს უკანასკნელი იმდენათ სავალდებულოა, რომ ვინც მას არ შეასრულებს, მას პურს არავინ მიყიდის.

პური თუმცა გაძვირდა, მაგრამ არც ისე ძლიერ. რძე ისევ წინანდელათ ფასობს, რადგან ჰოლანდიიდან ჩამოაქვთ. ხორცის ფასი ირყევა ხან ძვირია, ხან ნორმალურ ფასებშია.

ეკონომიას ეწევა ყველა ჯგუფი საზოგადოებისა. ჯარის-კაცთა სანოვაგე განსაკუთრებულათ მზადდება. ხმარების დროს მას ამოჭრიან და დანარჩენი შიგ, რადგან გერმეტიულათ დახურულია, გაუფუჭებლათ ინახება. ამგვარათ აკეთებენ ყველაფერს:

ხორცს, თევზეულობას, წვნიანებს, კონსერვებს, თაფლს, მურაბას, კაკაოს და სხვა და სხვას. ის ხმები, თითქო გერმანიაში მოსპეს ბაღები და ყველგან ბოსტნები გააჩაღესო—სიმართლეს მოკლებულია.

ტანისამოსის ფასი არ აწეულა.

სადღესასწაულო მიღება სასახლეში და უმაღლეს წრეებში შეწყვეტილია. ბალები, სადილები და ცეკვა გამორიცხულია, გარეშე სცენებისა. ამ უკანასკნელ დროს სულიერი ცვლილება ეტყობა ბერლინის საზოგადოებას, რაღაც დაქანცულობა და დანაკარგთა სიმძიმე ეტყობათ. შეიცვალა აგრეთვე მათი დამოკიდებულება მოკავშირე ავსტრიელებზე. გერმანელებმა მოიგონეს ავსტრიელების სიგმირეზე ანეკდოტი, მაგ. ავსტრიელი ჯარის კაცი ხვდება გერმანელს და ვენის სპეციალურ სალამით მიესალმა, რომელიც ნიშნავს „მაქვს პატივი“... გერმანელი ამაზე უპასუხებს: მე კი ვმუშაობ.

გერმანელები არავითარ იმედს ავსტრიელებზე არ ამყარებენ და აქვთ მხოლოდ საკუთარი ძალის რწმენა. ოსმალეთს ისე უცქერიან, როგორც უმნიშვნელო მოკავშირეს. ბერლინელს ხშირად აკერია პირზე ფრაზა. ორი იბრძვის შვიდის წინააღდეგ. იტალიის ომში ჩარევას არ გაუკვირვებია გერმანელები და, რადგან იტალია პირველ ხანებში არ გაყვა მას, მის საწინააღმდეგოთ გამოსვლას ყოველთვის ელოდენ. გერმანელები იტალიას უმნიშვნელო მოწინააღმდეგეთ სთვლიან. ბერლინელი იტალიელზე ასე მსჯელობს: შესახედავათ იტალიელი მამა კაცია, საქციელით კი დედაკაცი—ნამდვილათ კი—ბავშვი.

მათი უშედეგო სამთა კავშირის შესახებ ბერლინში ამ ნაირათ ოხუნჯობენ: შეუდლებისა და სამთა კავშირის შორის ის განსხვავებაა, რომ შეუღლებაში მხოლოდ ორია, მოხდება სამიც, სამთა კავშირში კი უნდა იყოს სამი და გამოვიდა ორი. დანარჩენ მოწინააღმდეგეთა მიმართ გერმანელების დამოკიდებულება იხატება იმ ლექსებში, რომელსაც მღერიან ბერლინის ქუჩებში. განსაკუთრებით შემდეგ კუპლეტებში: „რას გვიქვიან ჩვენ რუსი და ფრანგი, ჩვენ ისინი არ გვიყვარან, მაგრამ არც გვეზიზღება. ჩვენ მათ უმასპინძლდებით ტყვიით და სიგმირით“.

ჩვენ გვყავს ერთი უსასტიკესი მტერი, შეურიგებელი საუკუნო მტერი—ინგლისი.

ამისათვის ინგლისელებს განსაკუთრებული სიძულვილით უცქერიან და ტყვე ინგლისელები დიდს შევიწროებას განიცდიან გერმანიაში. ის რუსები, რომელთაც ომიანობამ მოუსწრო გერმანიაში და ტყვეთ დარჩენ, იმყოფებიან გოლცმუნდენსა და ვილარში.

იაპონიის სიძულვილიც დიდია გერმანიაში. იაპონიის გამოსვლამ საომრათ ძლიერ გააკვირვა გერმანელები და, მიუხედავათ იმისა, რომ იაპონელები ბევრი არიან ბერლინში, ისე შეუმჩნეველათ გაქრენ, რომ არც ერთი არ ჩავარდნიათ ხელში. ამ შემთხვევამ ძლიერ გააბრაზა გერმანელები. იაპონელებს ყვითელ მაიმუნებს ეძახიან, რომელთაც მიბაძეს გერმანიის კულტურას უკანასკნელის სალდატოთ.

ბერლინიდან ბრუსელში გადასვლა თითქმის შეუძლებელია, ამისათვის საჭიროა სპეციალური ნებართვის აღება, რომელსაც თვით გერმანელსაც იშვიათად აძლევენ.

გინდენბურგი ჯერ ისევ გმირათ ქმულია გერმანიაში. მასზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე იმპერატორ ვილჰელმზე. მეორე გმირი მაკენზენია, რომლის სტრატეგიულ ნიჭსაც დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

ტყვეებს ამუშავებენ გზებისა და ქუჩების შესაკეთებლათ. რკინის გზაზე, ბარაკებში და სხვა, ომის დასრულების და ზავის მომხრე ბევრია გერმანიაში.

ყველა უმაღლესი სასწავლებელი გახსნილია, მაგრამ თითქმის ცარიელია. უმრავლესი წილი ახალგაზდობისა მოხალისეთ წავიდნენ ომში. ბერლინში მოდის ინგლისური, ფრანგული გაზეთები და რუსული გაზეთი „რეჩ“-ი. გერმანულ სახალხო სახლში ხშირად სდგამენ გოგოლის „რევიზორს“ ს. რასაკვირველია, როგორც პასკვილს რუსეთის სინამდვილეზე.

როდესაც ზავის იმედი გაუცრუვდათ, ხელახლა გამოფხიზლდენ და აღეძრათ სურვილი ომის ბოლომდე მისაყვანათ. დაიწყეს ლაპარაკი საზამთრო კომპანიაზე და კიდეც ემზადებიან მისთვის.

## პრესა.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტის გამო, გაზეთი „საქართველო“ №42-ში სწერს,

კაი ხანია ქართველ საზოგადოებას სამწუხარო ამბავი ეწყა: ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ინსპექციას, სასკოლო კომიტეტის დაუკითხავათ მასწავლებელთა წრიდან გამოურიცხავს ჩვენი ცნობილი ბელეტრისტი იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე), ქუთაისის გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი. ამ ამბავმა მეტად არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე. „სამშობლოსთან“ ერთად „ახალი კვალიც“ სთხოვდა, ვისიც ჯერ იყო, ამ ინციდენტისათვის ნათელი მოეფინა და ცხად ეყო მიზეზი თუ რამ გამოიწვია ამგვარი სათანადო გზას გადამცდარი ღონისძიება. ინსპექცია ჯერჯერობით ხმას არ იღებს და თავის დუმილით თითქოს საგულვებელ ყოფს გაზეთ „სამშობლოს“ მიერ წამოყენებულ ბრალდებას, ვითომც ბ. იაკობ ცინცაძის დათხოვნას სარჩულად ედოს ის უსიამოვნება, რომელიც მას მოსვლია ძმათა ოცხელის მაღაზიასთან, საგაზეთო ქაღალდის გამო. ვსთხოვთ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ინსპექციას სთქვას თავისი სათქმელი, რათა პრესამ და საზოგადოებამ, ორთავე მხარის მოსმენის შემდეგ, შესძლოს თავისი მართებული მსჯავრი დასდოს ამ სამწუხარო მოვლენას.

## მწარე ფიქრები.

საშინელებაა თავისი გამანადგურებელი შედეგით თანამედროვე ომი.

მაგრამ არა ამაზე ნაკლებ საშინელია ის უკიდურესი ეროვნული მძულვარება, რომელიც ფეხს იკიდებს მეომარ სახელმწიფოებში, მოპირდაპირეთა მიმართ.

მოწინავე პრესა და პუბლიცისტიკა, საბედნიეროდ, მთლად არ დაუძლევია ამ მძულვარების საწამლავს, მას ნათლად აქვს წარმოდგენილი საზარელი შედეგი ასეთი გაუტანლობის ქადაგებისა.

ეს ეროვნული უკიდურესი ზიზღი მიიყვანდა კაცობრიობას სრულიად დაღუპვის კარამდე. დაგვაახლოებდა პირველყოფილ ხანას, დროს როდესაც ადამიანის გონებას ბნელი წყვდიადი და მხეცის ბუნება პატრონობდა.

შეუძლებელია ომის საშინელება, მეომართა გაბოროტება, სიმხეცე, ეროვნულ ბრალდებად გადავაქციოთ და ამის პასუხის მგებლად მთელი ხალხი გავხადოთ.

ომი არის შეიარაღებულ ძალთა შეჯახება. ისიც დღევანდელი მილიტარისტული ომი, როდესაც ადამიანებზე ზედმეტათ „იბრძვიან“ უსულო საგნები, ზარბაზნები, მანქანები და საშინელი იარაღები.

ყველა, ვინც ამ მომაკვდინებელ იარაღებს ჩამოშორებულია, ვინც არ იღებს ან არ შეუძლია მიიღოს

მონაწილეობა სამტრო მოქმედებაში, ის მტრად არც ჩაითვლება.

ამიტომ ბევრმა არ დაკარგა გონიერება ამ მძიმე ჟამს და თითქმის ყველა მეომარ სახელმწიფოებში როგორც რუსეთში, აგრეთვე საფრანგეთ-ინგლის გერმანიაში ებრძვიან ეროვნულ უკიდურეს მძულვარების ქადაგებას.

ევროპას ამ დიდმა ქარიშხალმა მოულოდნელად მოუწრო. დიდ ძალი ქვეშევრდომი მებრძოლი სახელმწიფოებისა დარჩა მოწინააღმდეგის ქვეყნებში, და რა მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყვეს მტრულს განწყობილებას ასეთ მშვიდობიან ხალხის მიმართ, დაკვირვებული ადამიანისათვის ძნელი წარმოსადგენი არ არის...

გაზეთ „დენში“ ვკითხულობთ: 20 ივნისს, უფის გუბერნიის, სოფელ ლეუზში ვიღაც სასტიკმა ბოროტ მოქმედმა, ნემცებისადმი სიძულვილით გატაცებულმა, ჩაიდინა საზარელი მკვლელობაო.

ამ სოფელში ყოფილა გადასახლებული ავსტრიის ქვეშევრდომი პოლონელი ქალი ლიუკსი თავისი ძუძუმწოვარა ბავშვით და ოთხი მცირე წლოვანი შვილებით.

სასტიკი ბოროტ მოქმედი შეპარულა ღამე ქოხში, გამოუჭრია ყელი დედისათვის და ძუძუმწოვარა ბალღიც ზედვე დაუკლავს.

შემდეგ ეს მხეცი ადამიანი დარევია ბავშვებს. უფროსისათვის თავი გაუჩეჩყია, დანარჩენები დაუსერავს დანით; ზოგისთვის ტუჩი დაუჭრია, ზოგისთვის ყბები და ლოყები...

მეზობლები გაკვირდნენ რომ ლიუკსი თავისი ბავშვებით მთელი დღე არსად სჩანდა.

ამბის გასაგებად მიაკითხეს და სახლშიდ ასეთი საზარელი სურათი დახვდათ: სამი დედა-შვილი უსულოთ ეგდო, სამი პაწიაც სულსა ლაფავდა.

დაეხმარნენ ამ უბედურებს, მაგრამ გვიანღა იყო. საბრალო მშიერ ბავშვებს რძე მიუტანეს პირთან დასალევათ, მაგრამ რძე ლოყებისა და პირის ჭრილობებიდან უკანვე გადმოიქცა.

ვინ იქნება ისეთი ადამიანი, რომ ამ სიტყვების ამოკითხვაზე საშინელი გულის ტკივილი არ იგრძნოს. საწყალი დედა, საბრალო ბავშვები. რა ბრალი მიუძღვით მათ ამ მსოფლიო ცეცხლის ბოროტებაში?

რუსეთის ძლიერებას სრულიად არ ესაჭიროება უმანკო სისხლი. არც ასეთი „პატრიოტული“ ზეალტაცება არის მისთვის საჭირო. ამიტომ ერთი ნაწილი პრესისა და პუბლიცისტიკისა, რომელიც ხელს უწყობს ასეთ სულით ავადმყოფურ გამრავლებას უნდა დაცხრეს და დადინჯდეს—მტერთან მტრობის ანგარიშშიც—რადგანაც, როგორც მას უთითებენ მოწინავე პუბლიცისტები ასეთი პატრიოტიზმი მეტად შავსა და საშიშ საქმეს ემსახურება...

**ჯაფარ-ფაშა**

## სამოწმო წერილი.

თანახმათ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მართველის ბ. იოს. ოცხელის წერილისა („სამშობლო“, № 125), ვამოწმებთ, რომ მიზეზები, რომლის გამოც შეუძლებელი შეიქნა მომავალი სასწავლო წლიდან ბ. იაკ. ცინცაძე ქართულ გიმნაზიაში დარჩენილიყო, ბ. ი. ოცხელის წერილში სრული სინამდვილით არის აღნიშნული, და აგრეთვე ვამოწმებთ იმასაც, რომ ეს საკითხი ბევრათ უფრო ადრე იყო გადაწყვეტილი, ვიდრე გაზ. „სამშობლო“ ძმ. ოცხელების მაღაზიების საწინააღმდეგო წერილების ბეჭდვას დაიწყებდა.

**გერასიმე ცაგერეიშვილი, სილოვან ხუნდაძე.**

## რედაქციისაგან.

ბ. ოცხელის წინადადება, რომ მის მიერ წერილში დასახელებულ პირთათვის გვეკითხა საქმის ვითარება, რედაქციამ, როგორც მკითხველსაც ეხსომება, უარჰყო. დღეს ვბეჭდავთ ბ. ცაგერეიშვილის და ხუნდაძეს „სამოწმო წერილს“, რადგანაც ეს თვით წერილის ავტორებმა მოისურვეს ჩვენდა დაუკითხავადაც.

მაგრამ ვბეჭდავთ რა ამ წერილს, მკითხველის ყურადღება იმ გარემოებებს უნდა მივაქციოთ, რომელებიც ამ წერილიდან გამომდინარებენ.

1) ის, რომ ეს „სამოწმო წერილი“ სრულებით არა ჰგავს იქმს, რომელსაც ამისთანა შემთხვევაში ემყარებიან ხოლმე ისინი, ვისაც რამის დამტკიცება სურს.

2) უცნაურათ გვეჩვენება ის გარემოება, რომ სკოლის უნცროსი აგენტები „სამოწმო წერილს“ აძლევენ სკოლის უფროს აგენტს, რომ ის თავის მოქმედებაში მართალია.

3) ჩვენს წინ იშლება სრულიად ახალი გარემოება, გამოდის რომ ი. ცინცაძის დათხოვნის შესახებ საკითხი აღძრულა ერთი წლის წინათ და არა გასულ ივნისში, რადგანაც ბ. ს. ხუნდაძეს, რომელიც ხელს აწერს „სამოწმო წერილს“, მხოლოდ მაშინ შეეძლო საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიეღო.

საზოგადოთ კი უნდა ვსთქვათ, რომ რაც უფრო მეტს იძლევიან განმარტებებს გიმნაზიის ოფიციალური პირნი, მით უმეტეს მტკიცე საფუძველი ეძლევა ჩვენს რწმენას, რომ გასამართლებელი საბუთი მათ არ ჰქონიათ.

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

ქართ. შორის წერ. კით. გამ. საზ. ახალ გამგეობამ აირჩია გამგეობიდან სხვა და სხვა სექციების წევრები. სექციები მუშაობს უკვე შეუდგნენ.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ბ-ნ. პოტულოვმა უკვე დაამტკიცა შეერთებულ კომისიის მიერ დადგენილი ნიხრი სიმინდსა და სიმინდის ფქვილზე.

ჩრდილოეთ კავკასიიდან მოტანილი სიმინდი ფუთი 1 მან. და 2 შ. გაიყიდება, ხოლო ფქვილი 1 მ. და 10 შაურათ.

✦ ქალ. საავადმყოფოში ამ ჟამათ თავისუფალი ადგილი ავადმყოფთათვის არ არის. საავადმყოფოში, სხვათა შორის, წევს რიონის სადგურზე, მატარებლის დაჯახების დროს დამარცხებული 10 კაცი, მათი მდგომარეობა ჯერ-ჯერობით საშიში არ არის.

✦ როგორც დ. ხარაგოულიდან გვწერენ, 25 ივლისს, იქ ადგილობრივ საკრებულოში გაიმართება წარმოდგენა, სალიტერატურო განყოფილებით.

✦ როგორც სოფ. წევიდან (შორაპნის მაზრა) გვწერენ, იქაურ მცხოვრებლებს დაუდგენიათ აღარ იდღესასწაულონ 15 ივლისს დღეობა—კვირიკობა.

✦ **აჭარლების გაზეთი.** დღეს ქართველი საქველმოქმედო საზოგადოება აჭარლების სასარგებლოთ სცემს ერთი დღით გაზეთს, რომლის წმინდა შემოსავალიც ომით დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანობას მოხმარდება. საზოგადოებას განზრახვა ქონდა ამ დღეს გამოეცა 12,000 ცალი გაზეთი, მაგრამ მხოლოდ ამდენი გაზეთის მოთხოვნილება პროვინციებიდანაა. გაზეთი დაახლოვებით 18 ათასამდე დაიბეჭდება.

✦ ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე შუამთის მონასტერში გაემგზავრა.

**ქალაქის საავადმყოფო.** ქალაქის საავადმყოფოში ივნისის თვის განმავლობაში შემოსავალი იყო ქირურგიულ განყოფილებიდან 4027 მანეთი და 50 კაპეიკი, ამბულატორიიდან 152 მანეთი და 50 კაპ. და სხ. სულ 4,537 მან. და 98 კაპ. გასავალი სულ 4529 მან. და 57 კაპ. აქედან ჯამაგირებში—1368 მან. და 6 კაპ. წამლებში 292 მან. და 32 კაპ. სანოვაგეში—1682 მან. და 24 კაპ. შენობის და მებელის რემონტში 205 მან. და 20 კაპ. განათებაში 142 მან. და 50 კაპ. და სხ. მოგება დარჩენია 8 მან. და 23 კაპ.

✦ როგორც ვაკიჯვრიდან გვწერენ, იქ ამ ჟამათ ბევრი მოაგარაკე მიდის. ეს სოფელი კულტურულათ ყოველ წლეობით იზრდება. აქ არსებობდა ერთ კლასიანი სასწავლებელი, რომელიც შარშან საზოგადოების მეცადინეობით ორკლასიანათ გადაკეთდა. წელს იქ გაიხსნა სამკითხველო და კოოპერატიული დუქანი, რომელშიაც ვაჭრობა ამა წლის მაისიდან დაიწყო.

✦ შაბათს, 17 ივლისს, ქალაქის თეატრში საქველმოქმედო მიზნით ნაჩვენები იქნება კინემატოგრაფიული სურათები.

✦ დ. ყვირილაში 3 ივლისს, თეატრის მომწყობ ქალთა კომისიაში აირჩიეს ფ. არაბიძე, ო. არდიშვილი, გ. ჩხეიძე და ფ. ყუფარაძე. საზოგადოებისაგან მათ დაევალათ 25 ივლისისათვის ალეგრის მოსაწყობათ შეაგროვონ სხვა და სხვა ნივთი ალეგრის წმინდა შემოსავალი გადაიდება. დ. ზესტაფონის მომავალი თეატრის ფონდის გასაძლიერებლათ.

✦ პარასკევს, 10 ივლისს, სამსონ ფირცხალავამ (სიტყვა) დ. ლანჩხუთში წაიკითხა ლექცია, რომელმაც დიდძალი საზოგადოება მოიზიდა. ლექცია შინაარსიანი გამოდგა და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა.

## მ ო გ ო ნ ე ბ ა.

### (რაჭა ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობიდან).

ასე, საღამოს შვიდი საათი თუ იქნებოდა, დიდებული მგოსანი რომ ბარაკანს მოვიდა, რომელსაც აუარებელი ხალხი ელოდა. მე ახლა იმის აწერას არ შეუდგები, თუ როგორი იყო ხალხის დახვედრა და ეს უკვე საკმაოდ აღნიშნა მაშინდელმა ქართულმა ჟურნალ-გაზეთობამ, მე მინდა ას წერილში ვაუწყო მკითხველს მაშინდელი შთაბეჭდილებანი, რომელიც ძვირფას მარგალიტივით სცვივოდა პირიდან სახე მადლიან მგოსანს და ეფინებოდა დამსწრე საზოგადოებას. როგორც მგოსნის მიღება გათავდა, ნამგზავრი მგოსანი მივიწვიეთ ერისთვის სახლებში, სადაც ერთი ოთახი მგოსნისთვის იყო მომზადებული, გარეთ ხალხი ბუზივით ირეოდა და სახლში წასვლა აღარავის უნდოდა ყველასა სურდა მგოსნის მადლიანი სახის ცქერით დამტკბარიყო. მგოსანი დაბრძანდა სავარძელზე, ჩვენ რიგრიგათ შევდიოდით და ყურს უგდებდით მის ტკბილ საუბარს.

სხვათა შორის, საუბარი იყო, საქართველოდან განდევნილ ეპისკოპოზ კირიონის შესახებ.

მგოსანმა სთქვა: „ახლანდელ მღვდლებს ძალიან გამტყუნებთ, რომ ერთი ვერავინ გამოჩნდით გეთავათ და დეპეშა გაგეგზავნათ, სადაც ჯერ იყო, რათა მოხუცი ეპისკოპოზი ასე ულმერთოთ არ ეწვალებინათ, უცხო ქვეყნებშიო“. აღარა გვყავს ოქროპირები, აღარ. მღ. ვლადიმერ ფოფხაძე შეეხუმრა მგოსანს: დიდებულო მგოსანო, „სამღვდელოებაში თუ ოქროპირები აღარ არიან, არც მათ მრევლში საიკაძეები არიანო“ მგოსანს ასეთი მოსწრებული სიტყვა იამა, სახეზე სიამოვნების ღიმილმა გაუთამაშა და ბრძანა: „მართალია, მამაო, მართალი, როგორიც მღვდელი ისეთი მრევლიო...

ბაასი იყო აგრეთვე ქართულ მწერლების ღირსება-ნაკლულევანების შესახებ. სანდრო ყაზბეგზე მგოსანმა შემდეგი სთქვა: თბილისში რომელიღაც გაზეთს ვცემდით (გაზეთის სახელი აღარ ახსოვდა) სანდრო მოვიდა ჩემთან და მთხოვა თქვენს რედაქციაში მამუშავეთო. მეც ვუთხარი დიდი ჯამაგირის მოცემა არ შემიძლია და ცოტას ვაი თუ შენ არ დაგვჯერდეთქო, რაც გინდათ, მომეცით ო თქვა სანდრომ. გავრიგდით თვეში შვიდ თუმნათ. მეორე დღეს მოვიდა და დაიწყო მუშაობა. ერთი კვირა რომ გაუთავდა, სანდრომ მითხრა. ერთი ექვსი აბაზი მომეცი აბანოში წასვლა მინდაო, ავიღე და მეც მივეცი ექვსი აბაზი. წასვლისას სანდროს უთხარი, შენი ჭირიმე სანდრო, ხომ იცი რედაქციაში ჩვენს მეტი არავინ მრის, ადრე მოდი, რაც შეიძლებოდეს, გაზეთი აუწყობელი არ დაგვრჩესთქო, მანაც აღმითქვა ადრე მოვალო. თითქმის საღამომ მოატანა, სანდრო კი ჯერ არსადა სჩანდა, ავდექი და წავედი აბანოში. მეაბანომ მითხრა: ერთი კაცი მოვიდა დილით შევიდა ოთახში და აღარ გამოსულა, არ ვიცი ვინ არის და რას შვება ამდენ ხანს აბანოშიო. ნიშნების გამოკითხვის შემდეგ, ვიცანი, რომ მისი დასახელებული კაცი—სანდრო იყო. მეც მივედი და ოთახის კარებზე ხელით მიუკაკუნე.

— ვინ ხარ, მომაძახა;

— აკაკი ვართქო, ვუპასუხე.

პატარა ხნის შემდეგ ოთახის კარი გაიღო და სანდრო გამოვიდა; კაცო რა ქენი ამდენი ხანი, რათ დაიგვიანე, აქ კიდო მეაბანოე იკლავს თავს ამდენ ხანს აბანოში ყოფნა როგორ შეიძლებაო.

სანდრომ სთქვა: აუზში რომ ჩავედი მაშინ დავიწყე ფიქრი, იმაზე თუ „ხევის ბერი გოჩა“ რომ მაქვს დაწერილი იმისთვის როგორი დაბოლოვება მიმეცა, ამის ფიქრმა გამიყოლია და მიტომ დამაგვიანდა ალბათაო. მეაბანოე გავისტუმრე, ჩვენ კი ჩქარი ნაბიჯით რედაქციისკენ გავსწიეთ.

თელავში ერთ სასტუმროში ჩამოვხტით, ბრძანა მგოსანმა. მეორე დღეს სასტუმროს პატრონმა მითხრა: აი ამ ოთახში რომელშიაც თქვენ ბრძანდებით, იდგა ერთ კვირას მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი, თუ თქვენც იმისთანა ხასიათის ბრძანდებით, ამ ოთახში სწორეთ მოგახსენო ვერ დაგაყენებთო;

როგორ! ის ცუდი ხასიათისა არ ყოფილა მეთქი, ვუპასუხე მე, სასტუმროს პატრონმა სთქვა: იმისთანა ადამიანის მნახველი სწორეთ ჯერ არა ვარ, შვიდი დღე აქ იდგა, ოთახი ისე აყროლდა, შიგ ვეღარ შევდიოდით, ერთ დღეს სანდრო გარეთ გამოვიდა, მაშინ ვიდროვეთ და შევედით ოთახში, თავ ქვეშ ვიპოვნეთ მკვდარი ინდოური, თურმე ის ინდოური გახრწნილიყო და ოთახი მითი ყარდაო. როცა მოვიდა სანდრო, ვუსაყვედურეთ, ბატონო რათ გინდოდათ ოთახში აყროლებული ინდოური. სანდრომ სთქვა, როცა მე წერას შევუდგებოდი, ის მაშინ ჭუკჭუკსა სტეხდა, აღარ მასვენებდა მეც მიტომ მოვკალიო. ყაზბეგისთანა ბუნების აღმწერი მწერალი ქართველებს ჯერ არ დაბადებია, დაამთავრა ლოვა მგოსანმა.

ერთმა ვიღაც ახალგაზრდამ ჰკითხა მგოსანს: მინდა სამშობლოს ვემსახუროო. და რით უფრო სჯობია სამსახურიოვ? მგოსანმა მიუგო: ზეპირ სიტყვაობას თუ შეჰკრებ, იმაზე უკეთესათ შენ სამშობლოს ვერაფრით ვერ ემსახურებიო.

ეზოში მრავალ ადგილას ფერხული იყო გამართული, ხალხის სიმღერის ხმა გუგუნით ეფინებოდა ტყესა და ველსა. მგოსანი აივანზე იდგა და ყურს უგდებდა ამათ სიმღერას. ერთ სიმღერაში იმღეროდენ, სხვათა შორის, ერთ ლექსს, „წერეთელი გადმოვიდა ცეცხლითა და მახვილითა-“ო. ეს ლექსი ეკუთვნის ალბათ იმ დროს, როდესაც როსტომ ერისთავის სასახლე აიკლო ზურაბ წერეთელმა სოლომონ მეფის ბრძანებით. მგოსანს ეს სიტყვები გულში ჩარჩენოდა, მეორე დღეს სადილზე მგოსანმა ბრძანა: წუხელი თქვენ რომ წერეთლის გადმოსვლაზე სიმღერას ამბობდით მე მრცხვენოდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, იმ წერეთლის შთამომავლობას [illegible] ვეკუთვნი მხოლოთ გვარით კი; ძვირფასო ძმებო, თუ მაშინ [illegible] ცეცხლითა და მახვილით გადმოვიდა, ახლა მე მოვედი [illegible] ბითა და სიყვარულით. ამ სიტყვების შემდეგ ხალხის ვაშას საზღვარი აღარ ჰქონდა.

**ვანო ჭიჭინაძე.**

### 12 ივლისი. ქუთაისიდან რიონამდე.

მშვენიერი დილაა. ცის კაბადონზე მოსრიალი მზე უხვათ აპნევს სხივებს სამყაროს. ხალხი სადგურზე ბუზივით ირევა, ყველა ფუსფუსებს, გამალებული მიდი მოდის, დაჰკრეს პირველი ზარი, ხალხი მიასკდა კარებს და მატარებელს მიაშურა; მეც ავედევნე მათ, რადგან რიონის სადგურზე მივემგზავრებოდი. არ გაუვლია ამის შემდეგ დიდ ხანს, რომ მეორე ზარიც მოისმა იმას მოჰყვა მესამე. და მატარებელი სტვენით, ქშენით დაიძრა ადგილიდან, ვაგონში ძლიერ ცხელოდა და ამიტომ ბაქანზე გაჩერება ვარჩიე. სუფთა ჰაერი, გრილი სიო, მომჯადოებელი ბუნების სილამაზე, რამდენადაც გხიბლავდა, გატყვევებდა ადამიანს, იმდენადვე გაფიქრებდა, გტანჯავდა, გაღელვებდა, ბნელით მოცულ ბუნებაში გახვევდა სტიქიისაგან აოხრებული წალეკილი ჰალები, ველ-მინდვრები, აუარებელი უზარმაზარი ხეები, თუ ფიცრები ბარიკადებივით ჩამწკრივებულა რიონის ორივე ნაპირას. ტუ, ტუ, ტუჰ მიაკივლა მატარებელმა და ამითი გვიმცნო: მოემზადენით საცაა ჩემს ვალს მოვიხდი, დანაკისრებს შევასრულებო, მაგრამ წინაგრძნობამ უმტყუნა, ერთბაშათ ისეთი სიძლიერით მოხვდა ერთმანეთს ვაგონები, რომ იმოდენა ხალხიდან, არა მგონია, ორი დარჩენილიყოს, რომ ან კედლეს არ დატაკებოდეს ან არ წაბორძიკებულიყოს.

გადავხტი თუ არა ძირს, საჩქაროთ შევხედე მატარებლის ორივე მხარეს, ლიანდაგზე ხალხი ყრია, წყალი, წყალი, ექიმი გვიშველეთ, მოისმოდა გულსაკლავი ხმები, უცებ გავჩნდი იმათთან და ჩემს წინ შემდეგი შემაძრწუნებელი სანახაობა გადაიშალა: აგერ გულწასული გაშხლართულა რამოდენიმე ჯარის კაცი: ზოგს მათგანს ფეხი მოსტეხია, ზოგს საგრძნობლათ სტკენია თავი, ხელი, გვერდი. იქ გარს შემოხვევიან ვიღაც მუშას, რომელსაც თავი გატეხია, პირიდან სისხლი გადმოსდის, თვალის უპეები მუშტის ოდენა გახდომია და სახის მოყვანილობა ადამიანისას აღარ უგავს. ცოტა მოშორებით გდია სისხლში მოსვრილი ქალი, იქვე მის გვერდით მისივე პირმშო, ასე რვა ცხრა წლის ბავში თავ გაჰყლეტილი, სისხლისგან იცლება, უკანასკნელ წუთებს ებრძვის, დედას დავიწყებია თავისი ტკივილი, გაფითრებული მისჩერებია მას და არა სჯერა, თუ ეს სინამდვილეა. მათ თავს დასდგომია უბედური მამა სათადარიგო ჯარის კაცი, თმა-წვერ დაუვარცხნელი ჭუჭყიან დაფლეთილ ტანისამოსში გამოწყობილი, თვალები მიბნედია ჩაღრმავებია და იქიდან ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოსდის. სამშობლო კერასა, მშობლებსა და ყოველ საყვარელ არსებას განშორებული, ძლივს ეღირსა ცოლშვილის ნახვას და მაშინ, როდესაც სასიკვდილოთ გამზადებული პოზიციისაკენ მიეშურებოდა, რათა თავისი სისხლიც შეერთებინა ძმებთა სისხლისათვის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ასულდგმულებდა, ძალას უმატებდა ის გარემოება, რომ ცოლშვილს ჯანმრთელათ სტოვებდა, მუხთალმა ბედმა ეს ნუგეშიც მოუსპო.

ხედავ ყველა ამ ერთი მეორეზე უარეს სურათებს, გული გეკუმშება ნაღველისაგან, მწუხარების ბინდი ჩრდილავს აფორიაქებულ აღშფოთებულ სულს, გინდა დაეხმარო რითიმე გამწარებულ მშობლებს, გსურს რამოდენიმე იმედიანი სიტყვა უთხრა მათ, მაგრამ რაღაცამ შეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორკა, შეგიპყრო გაქვავებულივით სდგეხარ იმავ ადგილას.

შენ კი პატარა ბიჭუნა იძინე ტკბილათ, უდარდელათ. მიისწრაფოდი დაგენახა ის ჭერი, რომლის ქვეშაც დაიბადე და პირველათ აიდგი ფეხი და ენა, იჩქაროდი, ტოლებისათვის მიგეძღურტულებია აქაური შთაბეჭდილებანი, მაგრამ აღარ დაგცალდა და ცივს სამარეში ჩაიტანე შენი სურვილები.

ქალებს დაემტვრიათ პატარა მცენარი ტოტები და უმანკო ცხედარზე დეეყარათ, რომელთაც დაეკარგათ რა სიცოცხლე ისე მოკრუნჩხულიყვენ და ჩახუტებოდენ მას, თითქოს შიშობდენ ეს ძვირფასი საუნჯე არავინ მოგვტაცოსო.

ირგვლივ კვლავ ისმოდა მელოდიური ჭიკჭიკი ფრინველთა, რომელთაც ბანს აძლევდა დუდუნი გაშმაგებული ფაზისის ტალღებისა. ოროთქმავლები კი ერთმანეთს ჩაწრებებოდენ ვით დიდი ხნის უნახავნი მიჯნურნი და გვემუქრებოდენ: ჩვენს წინაშე ქედი მოიხარეთ, ვერა ხედავთ, ცა ქუდათ არ მიმაჩნია და დედა მიწა ქალამნათო.

რუბენა პაპუაშვილი.

## დავეხმაროთ სათადარიგო ჯარის კაცების შვილებს.

ამ საშინელი ომის გამოცხადებამდისაც ჩვენი ქვეყნის სოფლის ხალხის უმრავლესობას, განურჩევლად წოდებისა, ნივთიერი სიღარიბის გამო, ძლიერ უჭირდათ შვილების სკოლაში აღზრდა. სულ ნცირედ რომ ვიანგარიშოთ გლეხს ერთი შვილის სასოფლო სკოლაში სწავლება წელიწადში ორი-სამი თუმანი მაინც უჯდება. მარტო სასწავლო წიგნებსა და რვეულების საყიდლად არის საჭირო ერთი თუმანი და ზედმეტი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომელიც მას სკოლისათვის სჭირდება— ეს კიდევ სხვა ხარჯს თხოულობს. ათასნაირ სხვადასხვა გვარ გადასახადთან, რომელიც, განსაკუთრებით, გლეხს აწევს კისერზე, ერთი და ორი თუმანი გლეხისათვის დიდ ფულს შეადგენს. რამდენიმე თვალცრემლიანი ბავში მინახავს სკოლიდან გამოსტუმრებული, მხოლოდ მიტომ, რომ მას სასწავლო წიგნებისა და რვეულების სასყიდელი ფული ვერ მიუტანია მასწავლებლისათვის. ეს თუ ასე ხდებოდა ამ უმაგალითო ომამდე, როდესაც ჩვენი ქვეყნის ოჯახებს პატრონი და მარჩენალი მამა თავს დასტრიალებდა, რაღა უნდა ვსთქვათ ახლა, როდესაც, ამ ომის წყალობით, ჩვენი ოჯახები ქალებისა და მოხუცებულების ამარაა დარჩენილი. რა უნდა ჰქნას საწყალმა სათადარიგო ჯარის კაცების ქართველმა ბავშებმა, ვინ უნდა უყიდოს მათ ან ტანსაცმელი, ან ფეხსაცმელი, ან სასწავლო წიგნი და ან რვეული. ამისოთ ხომ ისინი მომავალი სასწავლო წლიდან სკოლის გარეთ დარჩებიან. საბრალო დედებმა თავის შვილების ქადის ჭმევაც რომ შეიძლონ ხომ ესეც დიდი საქმე იქნება და სხვა საჭირო სასკოლო საგნებზე ვინ ჭნდა იზრუნოს მათთვის? ერობა ჩვენ არ გაგვაჩნია და არც ქვრივ-ობოლთა სამზრუნველოები მოგვეპოება, რომ იმათ მაინც გაუწიონ მამობა ჩვენ დაობლებულ ბავშებს. მაშ ვინ უნდა იკისროს მათი ტვირთის შემსუბუქება? ნათქვამია დღევანდელი კვერცხი სჯობია ხვალინდელ ქათამსო. ჩვენ, რომ სათადარიგო კაცების შვილების დახმარებას, რომლებიც დღეს სკოლებში სწავლობენ, შორიდან მოვუაროთ, ეს გვიან იქნება და ბავშები იძულებული იქნებიან სკოლას თავი დაანებონ ამისათვის ისევ ისა სჯობიან, ჯერჯერობით მაინც ისევ შინ დავფაცურდეთ. როგორც ვიცით, თითქმის ყველა ჩვენ სკოლებს აქვს საგანგებო (специальныя средства) თანხა. ზოგიერთ სკოლას რამოდენიმე ათეული თუმნობით აქვს ამნაირი თანხა. ეს საგანგებო თანხა სკოლებს ისევ ხალხისაგან შეუდის და მისი ხალხის საჭიროებისათვის დახარჯვა ცოდვაში არ ჩაეწერება ჩვენ მასწავლებლებს, თუ ფხას გამოიჩენენ. მართალია, ხსენებული თანხის დახარჯვა ინსპეკტორის ნებართვაზეა დამოკიდებული, მაგრამ დასაბუთებული სასკოლო საბჭოს მოხსენება, უნაყოფოდ არასოდეს არ დარჩება. საგანგებო თანხის საშუალებით სკოლებმა უნდა შეიძინონ სასწავლო წიგნები, რვეულები და სხვა საჭირო ნივთები და სკოლაში ახმარონ გაჭირვებულ მოსწავლეებს, ამგვარ თადარიგს სკოლები ახლავე უნდა შეუდგენ, თუ ჩვენი მეომრები და მათი უმწეოდ დარჩენილი ცოლ-შვილი ეცოდებათ ჩვენი სკოლების გამგეებს. მ. ფარცხნალელი.

## დაბა-სოფელი.

**სოფ. ჭალასთავი და ნაგარევი** (ზემო იმერეთი). ეს სოფლები ქუთაისზე სულ 10—12 ვერსით არიან დაშორებული, მეტათ მწირე სოფლებია და მცხოვრებლებიც, განურჩევლათ წოდებისა (ორიოდე გამოკლებით), ძალიან სიღარიბე-სილატაკეში განაგრძობენ არსებობისათვის ბრძოლას. მთაგორიან და ქვა-კაჟიანი ადგილებია; მიწასაც პრიმიტიული წესით ამუშავებენ; ამის გამო აქაურ გლეხს კარგ მოსავლიან წლებშიაც ვერ მოსდის საყოფი ჭირნახული და ამ უკანასკნელ ხანებში ხომ ნახევარი წლის საზრდოსაც თუ მოიყვანს. მიუხედავათ იმისა, რომ წრევანდელი მოსავალი შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთესი იყო, დღესაც ბევრია ჩვენში ისეთი გლეხი, რომელსაც სიმინდის უყიდლათ წლის გატანა მაინც ვერ მოურხერხებია. შარშან კი მთელი ეს ზემო მხარე მონაწილე გახდა იმ საერთო, საშინელი სიმშილობისა, როგორსაც ჩვენსკენ არავინ მომსწრე არაჰყავს. მომავალ მოსავალს მაინცა და მაინც ცუდი პირი არ უჩანს ჯერ-ჯერობით. კი, მართალია, ამ მკათათვემდი ძალიან დიდი და გამუდმებული წვიმები იყო, მაგრამ ისეთ ადგილებს, როგორზეაც სოფ. ჭალასთავი და ნაგარევია გაშენებული ხშირი წვიმები, განსაკუთრებით სიმინდის ყანებისათვის, არა თუ არ სწყენს-უხდება კიდეც. თუმცა ვენახები კი შესამჩნევათ დაზიანდა.

მცხოვრებლების უმრავლესობას ნაგარევში აზნაურობა შეადგენს, ჭალასთავში კი მთლათ გლეხობაა თითქმის. (აქ აზნაური სულ 4—5 მოსახლეს არ აღემატება). მაგრამ არავითარი განსხვავება ამ ორწოდებათა შორის არ არსებობს.

წარსულ წლებში არა ერთჯერ აღმინიშნავს გაზეთის ფურცლებზე ამ ორი სოფლის ყოველმხრივი დაქვეითება-ჩამორჩენა. დღეს კი სოფ. ჭალასთავის შესახებ ჩვენდა სასიხარულოთ, იგივე არითქმის. დღეს სიამოვნებით უნდა აღვნიშნო ამ პატარა სოფლის გამოფხიზლება. ცოტა ხნის განმავლობაში მან იმდენი უნარი და ფხიანობა გამოიჩინა თავის არსებობის საქმეში, რომ იგი ჩემს თვალში სულ სხვა სოფლათ გადაიქცა. მან პროგრესისაკენ იბრუნა პირი: ა) სამრევლო სკოლას, ადგილობრივი მასწავლებლის ბ. მიხაკო წერეთლის დაუღალავი შრომისა და შეუჩერებელი მეცადინეობის წყალობით წელს უფრო მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა. ხალხმაც, ცოტათ თუ ბევრათ, შეიგნო სკოლის დიადი მნიშვნელობა და სწავლა განათლების აუცილებელი საჭიროება. რის გამოც ბავშთა რიცხვი ერთი ორათ გაიზარდა, და ამიტომ სკოლა წელს ოთხი განყოფილებისაგან შესდგებოდა.

ბ) ამ სკოლას აქვს საკუთარი ხის ლამაზი ბინა, აქ ზაფხულობით, შარშან და წელს უფასო წარმოდგენები იმართება ადგილობრივი და მეზობელი სოფლების მოსწავლე ახალგაზდების მიერ, რომელთა პატიოსანი, ენერგიული და სრულიათ უანგარო შრომაც ბეჩავი ხალხის გათვითცნობიერებისათვის სწორეთ გულწრფელი მადლობის ღირსია.

გ). კვირა-უქმეებზე ჩვენს, ღვთის მშობლის სახელობის ეკლესიაში გაისმის სამ ხმაზე გაწყობილი, სადა, მარტივი და წყნარი ქართული გალობა. ეს მით, რომ ამ სოფელს ყავს ადგილობრივი მუშა-ახალგაზდობისაგან შემდგარი მგალობელთა გუნდი. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ წელს მის შემადგენლთა რიცხვი ძალზე შემცირდა. ამის მიზეზი დღევანდელი უმაგალითო ომია, რომელმაც ისედაც პატარა სოფელს ბევრი ჯან-ღონით სავსე ჭაბუკი გამოაცალა. მათ შორის ნახევარი ამ გუნდის წევრები იყო; დ) წელს, სხვა შეგნებულ სოფლებთან ერთად ჭალასთავმაც გაიზიარა საერთო საშობლოს გლოვა, ჩვენი სიამაყის, მამა აკაკის გარდაცვალებით გამოწვეული; ე) ყველას მოგეხ ენებათ, რომ ყოველ სოფელს ყავს თითოოროლა ცუდი ელემენტი, თითოოროლა ქურდ-ბაცაცა, ავაზაკი, რომელიც ძირს უთხრის სოფლის კეთილ-დღეობას, სახელს უტეხს ხალხის წმინდათა წმინდას—პატიოსნებას. ღამითაც არ ასვენებს ღრისით მოლოდინ-მოქანცულ მეზობლებს, ცხოვრების სიდუხჭირით სასო მიხდილ, ათასნაირი უსამართლობით გულ-დაკოდილ ხალხს... არც ისაა ვისმესათვის დაფარული, რომ ამგვარი ვაჟ-ბატონების ქომაგათა და მოსარჩლეთ უფრო ხშირათ ისევ სოფლის მოხელეები გამოდიან, რომლებიც გარეგნულათ, ჩვენდა საუბედუროთ, ჯერ კიდევ ხალხის მმართველ-მფარველებათ არიან მონათლულნი.

აბა რითი აიხსნება ის გარემოება, რომ ზევით მოხსენებულთა მსგავსი პირები, ხალხის მიერ მავნე და საშიშ ელემენტებათ მიჩნეული ბევრჯერ ამავე ხალხის „სასამართლოში“ წამოსკუპდებიან ხოლმე სრულიად მოულოდნელად სხვა და სხვა თანამდებობაზე...

ამ მხრივ სოფ. ჭალასთავიც ვერ შეადგენს გამონაკლისს. მასაც მოეპოება „ღვთის მადლით“ ორიოდე „ტარიელ მკლავაძე“ და, აისწორეთ აღსანიშნავი და სხვა სოფლებისთვისაც წასაბაძი მაგალითიც: ერთ მშვენიერ დღეს ამ სოფლის მცხოვრებმა აზრი გამოთქვეს თვით დაედოთ მსჯავრი ორი ასეთი პირი საქციელისათვის, აზრი მალე საქმედ აქციეს და განაჩენი დაადგინეს. ამ განაჩენის ძალით ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა ორ პირს. მცხოვრებლები პირობით შეეკვრენ ერთმანეთს არ მიეღოთ აღნიშნული პირები არავითარ სამეზობლო და საერთო საქმეში. არც ჭირში, არც ლხინში; არ მისულიყვნენ მათთან არავითარ გაჭირვება-დალხინებაში. თუ არც ეს განაჩენი გაჭრიდა ამ პირებზე და ისინი არ გასწორდებოდენ, მაშინ მათ ხალხი პირდაპირ სოფლიდან გაძევება-განდევნით ემუქრებოდა. უკეთუ პირობა ესე დაირღვეოდა, რომელიმე მცხოვრებთაგანის მიერ, მაშინ ხალხი მასაც ზურგს აუქცევდა და პირველ ორსავით ისიც გაძევებულთა რიცხვში ჩაითვლებოდა, როგორც მათი მომხრე-მოპარტიე.

პირველათ, როგორც მოსალოდნელიც იყო ყველამ ვერ მოაწერა ხელი ამ განაჩენს „ნათლიმამობისა“ თუ სხვა მოყვრობა-ნათესაობისა გამო. მაგრამ ბოლოს ეს პირობა ისეთი მაგარი გამოდგა, რომ არა თუ ნათესავები, მამებიც კი იძულებული გახდენ განაჩენზე ხელი მოეწერათ და მით, იმ საერთო შეძახილისათვის, რომელი მათივე შვილების წინააღმდეგ იყო მიმართული, მათაც ბანი მიეცათ. ახლა კი მოხვდენ „გმირები“, „რომ ანგარიში წაუხდათ“ და ისევ შებრალება—შეცოდების გზას დაადგენ. ხვეწნა მუდარით მიმართეს ისევ ხალხს, მიეღოთ ისინიც საერთო მეზობლობაში. ფიცს სდებდნენ გასწორებისას და მოქცევისას. მადლიერმა ხალხმაც, ცოტა ყოყმანისა და აწონ-დაწონვის შემდეგ მშვიდობიანი და მართლაც ადამიანური გზა არჩია ისინი მიღებულ იქნენ მხოლოდ მთელი სოფლის წინაშე ხელწერილის დადებით, რომლის დარღვევასთან ერთად ხალხს იურიდიულადაც სრული უფლება ეძლევა მათი განდევნა-გაძევებისა.

ვ). დღემდი, როგორც მას შარშან ვწერდი ამ სოფლის ცუდ სენთა რიგში პირველი ადგილი ბანქოს თამაშს ეჭირა. დღეს კი ესეც შესამჩნევათ გადავარდა აქ ადგილობრივი მამასახლისის სიყოჩაღითა და ამავე ხალხის საერთო ძალის წყალობით.

ზ). ახლა კიდევ ჩვენი ხალხი ეგრეთ წოდებულ „სამკვდრო კასის“ დაარსებას ცდილობს, რაც კიდევ ერთ ფრიად სიმპატიურ დადგენილებათ უნდა ჩაითვალოს გაჭირვებულთა დახმარების საქმეში.

ამ რიგათ დღეს ჩვენმა პატარა ხალხმა დაკარგული უფლების ძებნა დაიწყო, თითქო სურსო ძველი „თემობის“ ძალა აღადგინოს და თავისი ბედის სჭედვას თვითონვე შეუდგეს.

ღმერთო ჩემო! ნეტა თუ მართლა? მაშინ ხომ ჩვენი სოფლის წელში მოხრილი, ქედანა ხარივით კისერ გადამწვარი, ხელებ დაკოჟრებული გლეხიც გამოიცნობს მტერს და მოყვარეს... აღარ გახდება ასე უანგარიშოთ მსხვერპლი დღევანდელი სოფლის „ბატონ-პატრონებისა“ და ჩარჩ-ვაჭარ-ავაზაკებისა, რომელთა უკანტროლო მოქმედებასა და აღვირწახსნილ თარეშს საზოგადოთ ჩვენ სოფლებში დღემდი საზღვარი არა აქვს...

რა თქმა უნდა ამ სოფელს ახლაც ბევრი ნაკლი მოეძებნება; თავის-თავად ცხადია ასე ერთბაშათ მას არც შეეძლო ყველა უარ ყოფითი თვისება უკუეგდო და მთლათ თითით საჩვენებელ სოფლათ გამხთარიყო, ამისათვის მას კიდევ ბევრი დრო, დიდი შრომა და დიდი უნარი სჭირია, მაგრამ რაკი ერთხელვე გამოერკვა, გაუგებრობის ბურუსს თავი დააღწია და განახლების გზაზე ფეხი შესდგა, გვწამს აწი უკან აღარ დაიხევს „ახალი“ფარ-ხმალით სწავლა-განათლებით შეიარაღდება და სხვა უარყოფით თვისებებსაც ბოლო მოეღება.

იგიც მართალია, რომ მისი კულტურული დაწესებულება დღემდი მხოლოდ და მხოლოდ იმ ერთი სამრევლო სკოლით განისაზღვრება, მაგრამ ჯერ ეგეც ხომ ახალი შეძენილია და ვიმედოვნებთ მომავალში მას სხვაც მიემატება და აქამდი მიყრუებული, ჩამორჩენილი, ყველასაგან მივიწყებული სოფელი აწი ჯეროვანი პატივისცემისა და ყურადღების ღირსი გახდება.

დიახ ს. ჭალასთავი ახალ გზას დაადგა, გზას განახლებისას და გამორკვევისას. ეს ხომ ის გზაა, რომელზეაც სისხლის ასოებით აწერია სულმნათი ილიას ოქროს სიტყვები „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთნოდესო“ და მკითხველებო ნუ გენაღვლებათ, ჩვენც ვუსურვოთ ჩვენ სოფლელთ ამ გზაზე გამარჯვება.

მიხ. ტე—ძე.

## მცირე შენიშვნა.

ამას წინად [illegible] წავიკითხე, რომ [illegible] რებმა ალ. [illegible] თავმოუხდელი ჭურიდან ღვინის ამოსაწურავი მანქანა.—ასეთივე 1905 წელში გამოიგონა ს. გუბის სკოლის გამგემ გიორგი ლექვინაძემ, და კიდევაც გაესინჯა ქვევრის თავზე ს. კვხერში სოფლის მცხოვრებთა თანადასწრებით და კარგი შედეგი მოჰყოლოდა, რის გამოც დამსწრენი გაკვირვებულიყვნენ. ამავე ლექვინაძეს აზრად მოსვლოდა გამოეგონებია სამუდამო მოძრაობის მანქანა (вѣчное движеніе), რომელიც უნახავს მოსკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტს და ძლიერ მოუწონებია. 1907 წელში გ. ლექვინაძემ გამოიგონა ასოების გადასაბმელი და შესაერთებელი მანქანა („ზარაბანი“), რომლის საშუალებით ასწავლიდა ბავშებს ასოების მარცვლებათ შეერთებას. საჭიროა გამომგონებელმა გამოაქვეყნოს და აჩვენოს საზოგადოებას ასეთი მანქანები. ლ. ბ.

## სია

ქართველთა შორის წერა კითხვის საზოგად. ქუთ. განყოფ. სასარგებლოთ 10 მაისს გამართულ სეირნობა—ალეგრისათვის მაშო მესხისამ შეაგროვა შეწირულება შემდეგ 26 პირისაგან:

ქ. ა. ასტახოვისამ არშაბი, ნინო კრავჩენკოსამ 2 მან., ნინო ცომაიასამ 2 მან., ლუკა ფხაკაძემ საპონი, ელისაბედ გაბუნიამ 1 მან., სევერიან ჩიტავამ 1 შ., იასონ გორგიძემ 3 შ., ალექსანდრე ყანჩაველმა 1 მან., მღვდანმა ეშხან 10 შ., ჰარმენ ჩიგოგიძემ 10 შ., დავით გამსიამ 1 შ., პლატონ შავგულიძემ 2 შ., თამარა სულაბერიძემ 10 შ., მიხეილ გონ. 2 შ., მაკარ ბაბუნაშვილმა 2 შ., ილარიონ გაბუნიამ 1 აბ., ჰელაგია შამშერინამ 6 შ., ნატალია გოგავამ 6 შ., ანუშკა ჭეიშვილისამ 1 აბ., მატრონა რჩინიშვილისამ 1 აბ., ეფროსინე თოდუასამ 2 აბ., პასიკო ხოშტარიასამ 2 შ., რესო. ჟორდანიასამ 10 შ., დიმიტრი სულაბერიძემ 1 მან., კარპე შენგელიამ 10 შ, კოსტა შენგელიამ 2 აბ, პელაგია ხონელიძისამ 1 მან., საშა ხაზარაძისამ 2 აბ., ტროფიმ მიხეილის ძემ ძოძუაშვილმა 10 შ., ოლია დეგოიძისამ 1 აბ., სერაფიონ ხვედელიძემ 1 მან., გლადიმერ დოკ. 1 აბ., ლიუბა ლამინოვისამ 1 აბ., ფატმან იაშვილისამ 10 შ., ბარნაბა ჭეიშვილმა 1 მან., ვალენტინა ქოიავამ 1 მან.,

შემდეგ იქნება.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

## თ. მთავრიშვილის და ამხ.

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „**ქ ა ზ მ უ ლ ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ი თ ი ქ რ ი ს ტ ო მ ა ტ ი ა: ჩ ვ ე ნ ი ძ ვ ე ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ა დ ა ხ ა ლ ხ უ რ ი პ ო ე ზ ი ა**“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

**სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში“) ტყიბულის რკ. გზ. შტოზე.**

## სამკურნალო აბანო

**პ. ვ. ოზოლაძის.**

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კი: ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხ ენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწვდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. თ.